

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

# საბავშვო



საქართველოს საბავშვო ჟურნალი

მ ა ი ს ი  
№ 9

1910

მთავარი წამომგებთაგან,  
წამომგები პეტრე მანუჩი

## შინაარსი.

|  |    |
|--|----|
| I—მზე-წვია, — ლექსი, ვაჟა-ფშაველასი.....   | 3  |
| II—გულკეთილობაც ასეთი უნდა, — (გერმანულით) ა. ში-<br>ქაბერიძისა .....                      | 5  |
| III—სასამართლო, — ვ. თამრაშვილისა .....  | 7  |
| IV—ლეგენდა, — (ლექსი), შ. ქართველიშვილისა .....  | 15 |
| V—ვირის თავგადასავალი. — XXV შეცდომის გასწო-<br>რება, — (ფრანგულით) ან. ამილახვარისა ..... | 19 |
| VII— ა) გამოცანა, — ბ) რებუსი და აღსნა .....   | 24 |





ელეგრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა



## შინაარსი.

|   |    |
|---|----|
| I—მზე-წვია, — ლექსი, ვაჟა ფშაველასი . . . . .   | 3  |
| II—გულკეთილობაც ასეთი უნდა, — (ტერმანულით) ა. ში-<br>ჭაბერიძისა . . . . .                   | 5  |
| III—სასამართლო, — ვ. თამროშვილისა . . . . .   | 7  |
| IV—ლეგენდა, — (ლექსი), შ. ქართველიშვილისა . . . . .   | 15 |
| V—ვირის თავდასაჯალი. — XXV შეტდომის ვისო-<br>რება, — (ფრანგულით) ან. აშილასვარისა . . . . . | 19 |
| VI— ა) გამოცანა, — ბ) რებუსი და აღსნა . . . . .   | 24 |





## მ ზ ე - ვ ვ ი ა .

(ვეფხვი ლ. ბოკვაძე)



უდეს ბკეთებს მსე-წვია,  
ტკობნობს გაზაფხულის ჰირია;  
სადაც კი ჩაღა იწოვა  
ან თუ ბეწვი და წვირია,

ზედ ბდებს სახლის კედლებსა,  
მის შრომა გასაკვირია;  
თან ლესავს თისა-მიწითა,  
ტალახში უძევს ცხვირია,  
ნისკარტსა სმარობს ქაფჩადა,—  
ნამდვილი ქაფჩა ძვირია.  
ხელ-მოკლეობა ჩიტისა  
ან კი რა დასაუვირია!  
მუეაითა ბუდისა,  
რომ კვერცხი დადოს წვეილია:  
წუთი-სოფელი დედისა  
მსოლოდ ძვილი და ძვილია;  
დაზარდოს მსე-წვიეები,  
სიმღერა უთხრას ტკბილია,  
ჩაჭხედოს ბარტკებს თვალებში,  
ფრთა დააფაროს თბილია;  
დაზარდოს, ოღონც დაზარდოს,  
ლაჩარი, თუნდა კვირია,  
რომ დიდს ბუნების ფერსულში  
იმათაც ედოსთ წილია,—

223

შეამკონ თავის გალობით  
 ტყე, მინდორ-ველი, თხრილია,  
 სადაცა ხარობს წიფელი,  
 მუხა, არეი და თხილია, —  
 მთა მძღლით გადმოამცქირალი,  
 დაბლა სეების ჩრდილია, —  
 ქუყუნა წვიმის კამკამი,  
 ჭაერი ტურფა, გრილია,  
 ბუნების მკერდზე ჩიტო მღერა  
 ფას-დაუდები დილია.  
 შვილების მღერა როს ესმის,  
 დედის სიცოცხლეს ტკბილია!

ვაჟა-ფშაველა





## გულკეთილოვას ასეთი უნდა.

(გერმანულით)



ატარა ჰავლე დარბი გლესის შვილი იყო. ერთ  
გაზაფხულს, როცა მთას დიდი სიმძილობა ეწვია,  
ჰავლე ბარად ჩამოვიდა. მახლობელს სოფელში  
კარი-კარს დანდოდა და ლუკმა ჰურსა თხოულობდა.

კვის ჰირას, ალაუაფის კარებთან უდარდელად იჯდა მდი-  
დარი გლესის შვილი ჰეტრე, დიდი ჰურის ეუა ეჭირა და კემ-  
რიელად ილუკებოდა.

— ღვთის გულინათვის, ჰატარა ჰური მომიტყეს! მთელი  
დღე არა მიჭამია-რა! ლამის სიმძილით სული ამომკურეს! —  
თვალ-ცრემლიანი შევევდრა ჰავლე ალაუაფის კარებთან არსეი-  
ნად წამომჯდარ ჰეტრეს.

— გასწი, დამეკარგე! მომშორდი თავიდან! საშენო ჰური  
ჩვენებს არ გამოუცხვიათ!

დაცინვით უპასუხა ჰეტრემ სიმძილით არაქათ გამოცლილ  
ჰავლეს.

ერთი წელიწადი კავიდა ამ ამბის შემდეგ. სწორედ იმ  
სოფელში, საცა ჰავლეს მამა სცხოვრობდა, ჰეტრე დაკარგულს  
ციკანს დაემბდა. მსე იკბინებოდა და საშინლად ცხელოდა.  
ჰეტრე ძრიელ მოიქანცა და ძალიან მოსწეურდა. დაღლილსა  
და დაქანცულს წელის წეურვლით მუხლთ ეკაცებოდა. წეარო-  
კი არსად სჩანდა. საბრალთ ჰეტრეს ოჯელი წურწურით ჩამოს-  
დიოდა ჰირი-სასესე.

ბოლოს დაღლილმა და დაქანცულმა თვალი მოჭკრა ერთ  
დიდ ხის ძირში მჯდომ ჰავლეს, რომელიც იქვე ცხვრის ჰა-  
ტარა ფარას ამოგებდა. ჰავლე არსეინად წამოწოლილიყო მხარ  
თემოსე და წინ სველის ლიტრით ცივი წეაროს წეალი ევგა.

ჰეტრე დაუფრთხილავ მიიჭრა ჰავლესთან და ლმობიერად შეევედრა:

— გეთაყვა, ცოტა წუალი დამალევიწე! ლამის წუურვით მოვკდე!

ზავლემ დამშვიდებ...თ უზასუსა ჰეტრეს:

— გასწი, დიკარგე! მომპორდი თავიდან! შენთვის როდი მომიტანია ეს ცივი წუალი წუაროდან!

ჰეტრეს მხოლოდ ახლა მოაგონდა შარშანდელი თავისი გულქვაობა და სირცხვილით თავი მირს ჩაქინდრა.

ზავლემ ლმობიერად გადახედა ჰეტრეს, რომელიც ამ დროს ვერხვის ფოთოლივითა თრთოდა, საჩქაროდ მიაწოდა ლიტრით წუალი და ალერსიანის კილოთა უთხრა:

— დალიე! გული გაიგრილე, სჩანს ძრეელ დაღლილი ხარ!

ჰეტრემ ჩამოართვა ლიტრით წუალი და, როცა დასალევად მოიუფდა, უეცრივ თვალთავან ნაკადულივით წასკდა ცრემლები. ჰეტრე ახლა კარგად ჰკრმნობდა თავის შარშანდელს დანაშაულს და კიდევ ამიტომ აფრქვევდა ასე გულ-ამოსკვნით სინანულის ცრემლებს.

ა. მიქაბერიძე







# ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო .

I



უმ.ნ ზრჩილიანთსა ერთი დიდი ამბავი მოჰსდა, რომლის სიავემ და სისამაგლემ ვეუკლასამფოთა. ასე გასინჯეთ, მოსუც გამდღლის უურამდინაც მიაღწია, ისიც კი იმასდა: სამაგელი, სამაგელიო!

მერე რა მოჰსდა? რა და ის, რომ მუდმივ ზღუქუნა და შაქრის მტერმა კოტკემ თავიანთ ელიკოსა და სოფიკოს გამართულ არიფანიდან ერთი მოზრდილი შაქრის ნატყენი მოიპარა და ესლაცკი უარსება: „მე არ მომიპარავსო!“

თუმცა, სოფიკოს სიტყვით, ცხადლივ ბევრმა შეამჩნია.

თქმა არ უნდა, ეს ამბავი მესობლებსაც ძალე მოეღვა: აიღვა ფესი ჰატარა კოტკეს უკადრისობამ და ვეუკლას კარზედ იწუო ტუნტული

ჩვენებიანთ მარო სომ სინხრულით ცას დაეწია ამ ამბის გაგონებაზედ, კოტკეს დანაშაული ერთი ათად გააწვიდა და ეს საკვირველიც არ არის: მარო და კოტკე დიდინის მტრები არინ ერთმანეთისა, მეტადრე მას შემდეგ, რაც კოტკემ ჩვენს თავ-მომწონე მაროს თავიანთიდან კუდით ქვა ასროლინა ამ ერთის კვირის წინად.

ასლა კი სხვებთან ერთად მიბრძანდა კოტკანთსა და იქ არ მყოფს კოტკეს ბღღვირი აადინა.



— მე კი არ ვიცოდი, — დაიწყო მარომ, — რომ კოტე ქუჩაზე ზე-ქურდი იყო, აბა რა მისაძვები იყო არივანასთან?

— რას ამბობ, მარო? განა იქ მოსვლა ჩვენა გვეითსა? — გულ-მტკივნეულად განმარტა სოფაკომ.

— შერე თვითონ კოტე სად არის? — იკითხა ირაკლიმ.

— კოტე ის რო კოტეა, ნეტავი იმას. ჩაკეტილა მამის ოთახში და რო მივედით ისე სმის განსაცემად, იქიდან გვაჯავ რებს: „მოდი ვნახოთ შაქარი, კოტემ ჭამა შაქარით, — ფიცხობს ელიკო.“

— ერთი ეს მითხარი, სოფიკო, — თავისებურად მძიმე-მძიმედ დაიწყო ქარუმიძიანთ გოგიაძე, — მოწარული შაქრის ნატენი კოტემ შეჭამა?

— მაშ, არა და მარტივას\*) აჭმევდა, — წამოიძახა აწიწმა-ტებულმა სოფიკომ და სიბრაზით აქეთ-იქით დაიწყო ეურება, თითქოს თვალთ კოტეს ეძებს, რომ მაძლავინწასავით ეცესო.

— ვუვლა-უვუვლა და რაკი შაჭმულს შაქარს არა ეშველება რე, თვითონ კოტეს რა უყოთ? — იკითხა სოსომ.

— რა და, არც ერთმა ჩვენგანმა სმა არ გასცეს კარგა სნობამდის. — გადასწევიტა მკეანათ ნინუცამ.

— ბატონ ჩემს გაუმარჯოს, — შეჭკივლა მარომ, — იმასაც კე უნდა. უფრო დაუმეგობრდება თავისზე უარესს ქურდებს — ჩვენს მიტროსა და მკეანათ ირაკლის და თავის დამქაშებით შაქრის ნატესები კი არა, ვინ იცის, იქნება ტკივნებიც დაგვ-ზაროს. ჩვენს სმის გაუცემლობას აინუნშიაც არ ჩაიგდებს.

— კარგი და, ქალბატონო, ჯერ კოტეს როდის დაუმტკიცეთ ქურდობა, რომ ჩვენც ქურდებთანა გეთელი, — დაიწყო გაცეცხლებულმა მიტრომ.

\*) გაშინაურებული კაკაქო.



მხელა თქმა, თუ რა ორონ-ტრიალი დატრიალდებოდა...  
 წუთს, ბედსეჲ კოტეს უფროსი მძა არჩილი რომ არ შემო-  
 სწრებოდათ.

— არჩილი, არჩილი! — თითქმის ეველამ ერთხმივ წა-  
 მოიბახა.

— რა ამბავა, რა იყო. რა ეველანი აწითლებულხართ, —  
 გამოეხმაურა არჩილი, რომლის ჭკუა და გამოცდილება ევე-  
 ლა შესობლის ბავშვს აკვირებდა. არჩილს ეველა თავისზედ  
 ჭკვიანად სთვლიდა და ეს ბევრში მართალიც იყო.

— რაღა რა იყო, იმ არამხადა კოტემ... დაიწყო სო-  
 ფიკომ.

— მე ვერევი, უფრო კარგად მე ვერევი... — ჩაერია ელიკო.

— არა, არა, მე ვერევი. — არ უთმობდა სოფიკო.

ამ დროს ერთი კარგი მიძვილება კამარტობდა, რომ  
 საქმე ისევე არჩილს არ გამოეწორებინა.

— მოდი, მაშ, რაკი ვერ მოჭრიკებულხართ, თუ რომელმა  
 თქვენგანმა გადამოკეს ეგ ამბავი, — თქვენ ჩუმაღ იუავით და  
 დეე ნატომ დაიწვოს.

მართლაც არჩილს სიტყვა ვერ გაუტყეს და კოტეს უმა-  
 რთებულო საქციელი ნატომ შეატეობინა.

— ეგ ეველაფერი კარგი და კოტეს ამისთვის რა სასჯელი  
 მიუხინეთ? — იკითხა არჩილმა.

— რის სასჯელი, ჩსუბი იმაზე გვაქვს, კოტე დამნაშავეა  
 თუ არა. ზოგი ამბობს: არ არისო, — განმარტა ნატომ.

— მაშ, თუ ესეა, მე გორჩევთ კოტეს საქციელი განსა-  
 მართლოთ თქვენვე. ეს ეველაფერი როგორც უნდა, მე გან-  
 წაველით. ზოგი თქვენგანი კოტეს მტყუნებას დაუწეებს, ზოგი  
 მართლებას და საქმე გამოირკვევა. ესეთი სასამართლო დი-  
 დებსაც აქვთ, მხოლოდ თქვენც მათსავით ჭკვიანად უნდა იუე-  
 ნეთ, — დაათავა არჩილმა.



უველას ჭკუაში დაუჯდა არზილის რსკვა და ზირობა მის ცხს, შენს სიტყვას არ გადასხვევით. მსოლოდ საქმე ის იყო, კოტე ეახული იქნებოდა, თუ არა, მაგრამ ამის გადაწყვეტა არზილმა იკისრა.

უველანი დიდის თონთქოლით დაიშალენ და გულის ფანქვალით მოელიან სვალინდეულ დღესა.

## II

ჯერ ცხრა საათი არც-კი იქნებოდა, რომ ასე დილა-ადრიან უველა ბავშვები არზილიანთ ეზოში შეიკრიბნენ; თითქმის არავინ დაჭკლებია, რადგან კვირა-დღე იყო.

— რასაკვირველია, სასამართლოს გამართვა ეზოში მოუსერსებელია, ამიტომ წამოდით ჩვენს ოთახში, თუცა წინადგე გაფრთხილებთ, ზოგიერთს თქვენგანს ფესყე მოუსდება დგომა, — სთქვა არზილმა.

— ვიდგებით, ვიდგებით. — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

ერთს წამს უველანი არზილის ოთახში შეიკრიბნენ და აღტაცებით მოელოდნენ იმ რაღაც სასამართლოს.

კოტეც. იქ იყო, მსოლოდ უფრო დაბლვერილიყო და ინდოურივით იფხვირებოდა; მიტრო და ირაკლიც გვერდითა ჭეუბანდა.

— ასლა თავმჯდომარე ბირნიეთ, რომელმაც სელმდვანელობა უნდა გაუწიოს სასამართლოს. ერთი თქვენგანი კოტეს მტყუნებს დაუწეებს, ორნი იმის ქომაგობას დაიწეებენ. სამი კაცი მოსამართლეები იქნებიან. ორიც, ან მეტი, მოწამედანარჩენები მუურებელნი. — დაწვრილებით აუსსნა არზილმა.

— თავმჯდომარედ შენ იეავი, არზილ. — წამოიძახეს ზოგიერთებმა.

— მარომ გაამტყუნოს, მარომ.



— ირაკლი და მიტრო გამოექომაგებიან, — ისმას <sup>განქმენი</sup> სსზა მხრიდან.

— მოსამართლეებად დათიკო, სოსო და ქეთინო იუვენენ, — ურჩია შეკრებილებს ძაუხანთ ნინუცამ.

— მოწმეებათ იუვენენ ჩვენი გამდელი და ძაუხანთ ნინუცა, — სთქვეს სოფიკომა და ელიკომ, თან კოტეს ისე გადუბღვირეს, რომ გასაწიწკნათ არ დაანდობდნენ.

— მოწმეთ ქარუმიძიანთ ნიკოლაც იუოს. — სიტყვების ელაზვით სთქვა კოტემ, ირაკლის ჩაგონებათ.

— მაშ, კარგი, ახლა საქმეს შეუდგეთ. სანდრო, ერთი მამას ოთახიდან ზარი მომიტანე, — უკვე საქმიან კილოთი დაიწყო არჩილმა.

ერთ წამში ზარი მოიტანეს და არჩილმა საპატო ადგილი დაიჭირა.

სამარისებური სიხუმე ჩამოვარდა, მხოლოდ კოტეს ცხვირის სრუტუნმა გააჭირა საქმე.

არჩილი. გუმან წინ, ჰარასკევს, სოფიკოსა და ელიკოს გამართულ ზრიფანთან კოტემ, გამოურკვეველ მიზეზის გამო, ერთი დიდი საქრის ნატესი თურმე მოიპარა. შენ, კოტე, მართლა მოიპარე საქრის ნატესი?

კოტე. მე-კი არ მოვიპარე — მოვიტაცე.

არჩილი. მოწმეები მოიუვანეთ.

დიდი შრომა და უნარი იყო საჭირო, რომ გამდელი იქ მოეყვანათ. დიდს უარსე იუო. ბოლოს გადასწვეიტეს ვინმე გავეზავნათ. არჩილის რჩევით, ერთი მოსამართლეთაგანი უნდა წასულიყო. ჯერი ქეთინოზე მიდგა.

არ გასულა სულ სამი წუთი, რომ ქეთინო დაბრუნდა.

ქეთინო. გამდელმა აი ესა სთქვა: სამივე: სოფიკო, ელიკო და კოტე დიდი არამზადები არიანო; მართალია, კოტეს საქრის ნატესი მოეტაცა, მაგრამ კაი შვილი არც სოფიკო ბრმა-



ნდებო. გუშინ ნახევრად მოქსოვილი წინდა სულ მთლად და  
 მირღვიაო. ელიკომ კიდევე წუსულ სათვალე გაპიტქნაო.

ამის თქმა და უძველებელ სიცილ-სარხარის ატეხა-ერთი  
 იყო.

არჩილი. დაწუნარდით, ჩუპად, რა დაგეძარათ! ნინუცი,  
 შენ რაღას იტყვი?

ნინუა. მე იმას ვიტყვი, რომ კოტე ქურდია. მაგან მე  
 ერთხელ სელიდან „კამფეტი“ გამომტაცა.

არჩილი. სხვა არაფერი?

ნინუა. სხვა კიდე ისა, რომ კოტე ქურდია. სოფიკოსაც  
 ხომ შაქარი მოჭმარა?!

არჩილი. ქარუმიძიანთ ნიკოლა, შენ რას იტყვი?

ნიკოლა. კოტეს შაქრის ნატეხის მოპარვას აბრლებენ  
 ისინი, ვინც გამდელს წინდა დაურღვია და სათვალე გაუტე-  
 ხა. კაი ქაღობატონებიც კი ბრძანებულან. ნეტა მაგათ! კოტე და  
 მე, თქვენც იცით, ერთად ვსწავლობთ და მაგის ცუდი მარტო  
 ენა-ჭარტალა მაროსაგან მესმის.

მარო. ვაჟბატონო, მერე შენ რა ჰბრძანებო? შენ არ იყა-  
 ვა, რომ ჩვენი ფროსა ვოგო კიბადან დაბგორე და მაძამ  
 უსადილოდ დაგტოვა?

არჩილი. მარო, ნება არა გაქვს მოწმე გაბიბირყო. მა-  
 გან რაც ჩაიღინა—ეგ სხვა საქმეა. კოტეს განამტყუნებლად  
 რას იტყვი?

მარო. რაღა უნდა ვსთქვა მაგის განამტყუნებლად, როცა  
 ეგ ისეც მტყუნანია. თითონვე ამბობს მოვიტაცეო და სხვა რა  
 უნდა? მე მხოლოდ ბრასი იმაზედ მომდის, რომ მაგის არა-  
 მხადობას ბევრი ამართლებს. კოტემ შაქრის ნატეხი მოიპა-  
 რა, ამიტომ ძალიან უნდა დაისჯოს. კოტე—მტყუნანია, კო-  
 ტე—ქურდია.

არჩილი. კოტე, თავის განამართლებელს რას იტყვი?



კოტე. სოფიკო და ვლიკო მე ქურდობას მამბრადებენ ქვეყნის  
ეს ერთი, შაქრის ნატესი კი არ მოვიპარე, მოვიტაცე. შეო-  
რეც— იმიტომ მოვიტაცე, რომ ჩემი იყო. არ მათამაშეს თა-  
ვიანთან ერთად — ავდექი მეცა, მოვიტაცე და შევჭამე.

არჩილი. სოფიკო, შენი ჯერია.

სოფიკო. შაქრის ნატესი შავისა კი არა — ჩვენი იყო.

კოტე. შაქრის ნატესი მე მაგათ ვაჩუქე იმ ჰირობით, რომ  
ვეთამაშებინე

არჩილი. კარგი, დაჩუქდით, ირაკლის ჯერია.

ირაკლი. კოტეს მაგათვის შაქარი იმ ჰირობით უჩუქე-  
ბია, რომ არიფანა იმისიც ვოფილიყო. რაკი არ თამაშეს —  
თავის შაქარი უკან წაიღო. აქ სად არის ან ქურდობა ან ვა-  
ჩალობა?

არჩილი. მიტრო.

მიტრო. ეს ამოტყლა აურზაური სულ ჩვენი მაროს ბრა-  
ლია. რაკი ვეკოტეს მტერია, მოსდგა და ქუჩის მაწანწალაც კი  
დაუძახა. კოტე ქურდი არ არის, რადგან არაფერი არ მოუპა-  
რავს. მაგან მარტო თავისი შაქარი წაიღო.

არჩილი. მორჩა, გათავდა. ახლა დათიკო, სოსო და ქე-  
თინო იქით ოთახში გადით და განაჩენი გამოიტანეთ. კოტე  
მტეუანია, თუ მართალი. — მოსამართლენი მეორე ოთახში გა-  
ვიდნენ და, თათბირის შემდეგ, გამოვიდნენ. თათბირის დროს  
დიდი განგაში იდგა. მომეტეპულნი კი მაინც კოტეს ამტეუ-  
ნებდნენ. არჩილიც კი კოტეს მხარეს არ იყო.

დათიკო. უური გვიგდეთ. რადგან კოტეს შაქრის ნატესი  
უჩუქებოა იმ ჰირობით, რომ იმასაც ვეთამაშნა; რაკი სოფიკომ  
და ვლიკომ ეს ჰირობა არ შეასრულეს, კოტემ იმიტომ წაიღო  
შაქარი; რაკი კოტემ ის შაქრის ნატესი კი არ მოიპარა — ისე  
წაიღო, — იმიტომ კოტე მტეუანია არ არის, — კოტე სისარუ-  
ლით ცხს ეწეოდა და ირაკლიმ, მაროს გამოჯავრებით, უფრო



სმა-მაღლივ დაიუვირა: „მოდით ვნახოთ შაქარი, კოტეშში შაქარი.“

ამ განახებით ბევრი უკმაყოფილოა. შეტადრე მარო ფიცხოებს. გადაწვევითი აქვთ განსახიერონ ეს განახენი.

არჩილი. რაკი უშეტესობა თანსმანი არა სართ განახენისა, გირჩევთ ეს ამბავი ვეველა ქართველს ბავშვებს შეატეობინოთ, დეე, მათ გადასწევითონ: მტეუანია კოტე, თუ არა, — თქმა არ უნდა, რომ ამ რჩევას ბევრი დაეთანხმა.

მართლაც, „ნაკადულის“ ზატარა მკითხველებმა გადასწევითონ: კოტე მტეუანია, თუ მართალი. ამ იძულებით დაიშალა სასამართლო.

ვ. თამროშვილი







## ლეგენდა.

უმღვნი ელიგო ანგელანს



ეთორ კარაუში, ძალალ ტახტსე  
ზის ინდოელთ წინამძღოლი,  
მთელ ბანაკში მას არა ჰქუავს  
მეომარი თავის ტოლი.

ბევრ ბრძოლაში მოიხვეჭა  
სიმაძაციით მან სახელი;  
მის წინ სპირად შიშით ძრწოდა  
მძლეობა მძლევი ინგლისელი.

დღესაც იმან მუელებურად  
ვით არწივმა ფრთა გაშალა,  
მტრის ბანაკი მისცა ცეცხლსა,  
მისი კვალი მთლად წაშალა.

მაგრამ მას ამ გამარჯვებამ  
ჩააწვეთა გულს მახვილი:  
ბრძოლის ღმერთმა ინაცვალა  
ერთად ერთი მისი შვილი.

ეთორ კარაუში, ძალალ ტახტსე  
ზის ინდოელთ წინამძღოლი,  
სევდით მოცულს მთელს ბანაკში  
მას არა ჰქუავს თავის ტოლი.

კაემანით შეპერობილსა  
 არ ხსარებს გამარჯვება,  
 თვალ-ცრემლიანს მოკლეულ შვილის  
 კვლავ ზნრდილი ელანდება.

ამ დროს კარავს შემოვიდა  
 ინდოელი შემობარი,  
 მოასსენა: „მოვიუგანეთ  
 ინგლისელი, კართან არი“.

„დაესერიტოთ, თუ რას მიბრძანებთ?  
 შენი მონა ზასუსს ველი,  
 რით დავსაჯოთ ტყვეთა ქმნილი,  
 სისხლის მსმელი ინგლისელი?“



— „აქ მომკვარეთ“, — ბრძანა მკაცრად:  
 „შე თვით მივცემ სატანჯველსა“;  
 მკრამ მკერთა, რო შესედა  
 შებოჭვილსა ინგლისელსა.



ახალგაზრდა, ღონით სავსე,  
 წამებული, დატანჯული,  
 მთლად შვილს ჰგავდა, აუკუნესდა  
 წინამძღოლსა მკვდარი გული.

მოუვიდა თვალთ ცრემლები,  
 გულს აღემრა შებრალება,  
 და უბრძანა მემორებსა:  
 „აქ დანტოვეთ, აქ დარჩება!“

## II

ერთ თვემ განვლო, ინგლისელი  
 ეუბრება მტრის კარავსა,  
 და მოელის მომავალში  
 კარგზე მეტად უფრო ავსა.

მას ინდოელთ წინამძღოლი  
 ხელს არ ახლებს, ცხადი არი,  
 მაგრამ ჰელეაფს, არ თანხმდება  
 მის განაჩენს მისი ჯარი.

პრისხანე და გულ-მოსული  
 ჯარი ითხოვს მის წამებას;  
 დასთანხმდება წინამძღოლი,  
 ვერ უარჰყოფს იმის ნებას.

რას იზამდა, ჯარი მძლეა!  
 აუსრულა მას სურვილი,  
 მეორე დღეს, საღამოს ჟამს  
 გადუწევიტა ტყვეს სიკვდილი.

დილით ღვრე, როს მიდამოს  
მოეფინა გარს ნათელი,  
წინაშელოლმა გააღვიძა  
იქვე მწოლი ინგლისელი.

და უბრძანა: „მოემზადე,  
თან გამომეყ ფეს-მარდათა,  
რომ მე შენი ბედისწერა  
გულის აზრ ჩამევეს შესამ-დარდათა“.

### III

ტურუბა წალოკტი ჰქვიადა  
ბანაკს გარეჯ ერთ მთის წინა,  
იქ ბუნებას თვის საუნჯე  
გაღვიძალა, გაეფინა!

ემსით მთვრალი ფრინველები  
უძღვროდნენ გასაფხულსა;  
ჩონგურს სცემდა ტურუბა აზრე,  
ფრთხი შეესხა სიუვარულსა!

აგერ ორნი მოახლოვდნენ,  
მოელაგენ ჩადრნი მხესე,  
მოახლოვდნენ და ავიდნენ  
მწვანით მოსიღი მალაღ კორღსე.

„ჰსედავ ტურუბა ბუნებასა?  
სომ გრძნობ შენ ამ გასაფხულსა?  
სომ უგზავნის ნაზ სიუვარულს  
ეს მიდამო შენსა გულისა?“

ჭკითხა ერთმა, და შეორემ  
უზანუსა: „ხარობს გული.  
— „მაგრამ ვსედავ ვერაფერსა,  
რადგან შვილი შეავს მოკლეული!“

მას მიუგო კვლავ ჰირველმა.  
შეკვითხა: „მესმის სტკენა  
ცის ფრინველთა, ხომ გახარებს  
ხომ გიტაცებს აღმა ფრენა?“

— „დიაღ, მესმის, — მოსა ებრემ  
უზანუსა — გული სტკებება!  
მაგრამ მე კი უურშიც, გულშიც  
შხამ-ნაღველი მეწვეთება,  
რადგან მამას დაობლებულს  
შვილი აღარ მეგულება!“



ეს სთქვა ოხვრით ინდოელმა  
და ურჩია: „წადი ძაღუ,

დღეს საღამოს მოგვეღწეო ჩვენნი,  
წადი, ჩქარა, დაიძაღუ!“

„მე მინდა, რო მამა შენსა  
კვლავ შეეძლოს შენი მზურა,  
მე არ მინდა რომ ეწვიოს  
იმას ჩემი ბედის-წერა“....

შ. ქართველიშვილი





# პირის თავგანსვალი

XXVI 6 ა ვ ი.



აქი. ნეტავი უოველ დღე ამისთანა საუსმე გაგვამარ-  
თვინა! რა კარვად შევექცით!

ლუი. კაი საჭმელებიც გავაკეთთ!

კამილა. მეტადრე კარტოფილის საღათა მომე-  
წონა და ვინეგრეტი

მადლენა. მე ვიცი რისთვისაც; იმისთვის, რომ  
დედა ნებას არ ვამღვეს ხოლმე ძმრიანის ჭამას.

კამილა. შესაძლებელია, რასაც იშვიათად ვჭამთ, ის უოველ-  
თვის უფრო მოგვეწონება, მერე როცა გიუვარს კიდევ.

ბიერ. დღეს რიდათი გავერთოთ?

ელიზა. მართლა, დღეს სომ სუთმაბათია და სადილობამდე  
თავისუფალნი ვართ.

გენრიხი. მოდი თვეში დავიჭიროთ.

კამილა. ძალიან კარგი, სვალ მარხვაც არის და თვეში  
გავექნება.

მადლენა. როგორ დავიჭიროთ, ანკესები გვაქვს?

ბიერ. როგორ არა, მხოლოდ ჯოხები გვინდა, რომ ანკესი  
გაუკეთოთ.

გენრიხი. ეკება სოფელში ვაუიღვინოთ.

ბიერ. იქ არა ჰეადიან, მაგისთვის ქალაქში მოუნდებათ წა-  
სვლა და შორს არის.

კამილა. აგერ ოციუსტიც მოდის, იქნება მაგას ჰქონდეს  
და გავგზავნოთ ცხენიანი კაცი.

ვაკ. მე წავალ კადიმონით.

გენრიხ. აგრე შორს მარტო ვერ წახვალ.

ჯაკ. რა შორს არის, სულ ნახევარ ვერსია.

ოგიუსტ. რა გინდათ, მეგობრებო, სად მიხვალთ კადიშონით?

მიერ. თვეზის საჭურად კავები გვინდა, გაქვს განა?

ოგიუსტ. არა, მაგრამ მაგას ჩვენ თითონვე გავთლით და-  
ნებით, რამდენიც გვინდა.

გენრიხ. მართლა, რატომ ფიქრად არ მოგვივიდა?

ოგიუსტ. წავიდეთ ჩქარა ჭაღლაში და მოვჭრათ. ჯიბეში  
მაქვს დანა. თქვენა?

მიერ. მეცა მაქვს მადღენას მოტანილი.

ჯაკ. მეცა მაქვს დანა.

ლუი. მეცა.

ოგიუსტ. მამ, წავიდეთ. მანამ ჩვენ მოვჭრით, თქვენ ქერქი  
გაძიერთ და ზაწია ძტოები მოაშორეთ.

— ჩვენ რაღა გავაკეთოთ? — შეკითხვენ ქალები.

— თქვენ მანამ მოგვიმზადეთ, რაც საჭიროა სათევზაოდ:  
ჰური, ჭიანჭველები და ანკესები. ეველანი წავიდ-წამოვიდნენ  
თავიანთ საქმეს. მეც წავიდი გუბესკენ და ნახევარ-საათი ვე-  
ლოდი უმაწვილებს. ბოლოს ამათაც მოირბინეს, ეველას სელში  
ეჭირა რამე სათევზაო.

გენრიხ. მგონი, წვალი უნდა შევამღერიოთ, რომ თვეზი  
ამოვიდეს.

მიერ. სულაც არა, ჩუმაღ უნდა ვიუვეთ, თორემ თვეზი სულ  
ძირს წავა და ჩაიძალება, თუ დავაფთხობთ.

კამილა. მგონი, სჯობს ჰური ჩაუვართ და იმითი მოვი-  
ტუოთ.

მადღენა. კარგი, მაგრამ ცოტა ვაჭამოთ, თორემ რაკი  
აღარ უძიებთ, ვეღარ დავიჭერთ.

ელისა. დამაცადეთ, მე გადუერი ჰურს, მანამ თქვენ ანკე-  
სები დაამზადეთ.



ელიზამ გადუქარბ თუ არა ჰური, ექესიოდე თვეზო მკვეს  
რდა, ელიზამ კიდევ გადუგდო, ახლა სხვებმაც გადუქარეს იმ-  
დენი, რომ გამძღღარბა თვეზებმა ჰირი აღარ მოავლეს ანკესს.  
მკონი, ბეგერი ვაჭანეთ, — უსურსულა ელიზამ ლუის და ეაკს.

ეაკ. რა უძავს, დანარჩენს სვალ შესჭამენ.

ელიზა. ეკ ვერეა, მაგრამ ველარბს დავიჭერთ, თუ აღარ შინათ.

ეაკ. მართალია, ვაიმე, ახლა ჩვენი უფროსები რას გვეტყვიან.

ელიზა. ნურას ვეტყვი, ჯერ ისევ ბკეთებენ ანკესებს, იქნება  
მანც დაიჭირონ.

— აი, მზადა ვართ! ახლა ეველამ სთითოდ იღეთ კავები  
და გადუგდოთ წუელში; წუნარდ ჩაუძვეს უმწვილეებმა ანკესები  
წუელში, მაგრამ ვერა დაიჭირეს-რა.

ოგიუსტ. აქ უთუოდ ცუდი ალაგია, იქით გადვიდეთ.

გენრ-ხ. მართლაც ბეტობაა, აქ თვეზი არ არის, თორემ, ბკერ,  
ჰური არცაგი შეუჭამიათ, წავიდეთ გუბის ბოლოზე, საცა ნავია.

ბიერ. იქ ძალიან ღრმა ალაგია.

ელიზა. მერე რა არის, თვეზები სომ არ დაიხურნობიან.

ბკერ. თვეზები-კი არა, მაგრამ, თუ ჩვენგანი ვინმე ჩავარ-  
და-კი, შესამღებელია დაიჩიროს.

გენრიხ. ისე ახლოა სომ არ მივალთ, რომ დავიხურნოთ?

ბიერ. მართალია, მაგრამ მანც ბატარეები ნუ წამოვლენ იქ.

ეაკ. შენი ჭირიმი, ჰიერ, წამიუვანე, ჩვენ მოშორებით ვი-  
დგებით.

ბიერ. არა, არა, იუავით მანდ, საცა ხართ, ჩვენ ძელე დავბორუნ-  
დებით, მკონი იქაც ბეგერ არას დავიჭერთ. — იქნება, — სთქვა მან  
ჩუძად: — თქვენი ბრალიც არის, რომ ვერა დავიჭირეთ-რა; განა  
არ დავინახეთ, რამდენი ჰური გადუქარეთ. სხვებს-კი არ ვეტყვი,  
მაგრამ თქვენ უნდა დანსაჯნეთ გაუგონრობისთვის.

ან ამილანბვარი

(უფმღვი იქნება)

# ს ე ო ც ა ნ ე ბ ი

სუთი ვაძლი ისე გაუუავით თანასწორად ექვს ბავშვს, რომ არც ერთი არ გასჭრათ ექვსად.

ორ კაცს საუსმედ კვერები ჰქონდათ, ერთს სამი, მეორეს— სუთი. მესამე შეესწრო, იმათთან ისაუსმა და თავის წილად ო კანჭიკი გადაიხადა. როგორ გაიუფეს ეს ფული კვერების ჰატრონებმა.

# რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი ნ. გამრეკელისაგან)



„ც



„ს



„მ

„ღ

„ა



„ზ

„მე ა

მე-8 N-ში მოთავსებულ რეზუსის აღსნა:

კარგ საქმესედა მიბაძვა, აბა რა დანამრანია.  
გამოცანის აღსნა: სიდი.

ნაკადულის რედაქციაში და წ.-კ. საზ.

მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

**ზღაპრები**, ვილჰელმ და იაკობ გრიმისა, ნაკადულის რედაქციის გამოცემა, ფასი . . 30 კ

**სომის თავ გადასავალი**, თხზულება, მარკ-ტვენისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი . . . . . 50 კ.

**რას გვინაგვობს ოთახი**. თხზულება აგენარ-რიუსისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი . . . . . 20 კ.



# მიიღება ხელის მოწერა

1910 წლის იანვრიდან 1911 წლის იანვრამდის.

საუმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

# ნაკადული

წელიწადი მთავსდ

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

გარდა ამისა 1910 წლის ხელის-მომწერლებს პრემიად მიეცემათ:

- I. დედაჩი და კუდიანი ვარსკვლავი, — ზღაპარი ევკლდისა კეცხა სურათით. — II. მარჯნები, — ზღაპარი ევკლდისა ოთხი სურათით.
- III. თორმეტი და, — ზღაპარი ევკლდისა ერთი სურათით. — IV. ძარ-თული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

ჟურნალს ხელმძღვანელობს უწევს საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან. სამზღვარ გარედი: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან. — მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან. — ხელის-მოწერა მიაღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

## ხელის მოწერა მიიღება:

- 1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.
- 2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.